# კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებ[illegible]ვობის წარდგენის ფორმა

## საერთაშორისო ბიზნეს სკოლა

| ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ | |
|---|---|
| **სეგმენტი** | **მოსწავლეები** |
| **კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება** | 6-7 კლასი, 12-13 წლის მოზარდები |
| **მხატვრული ნაწარმოები(დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად** | ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“ |
| **ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში**<br><br>*(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა.თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)* | ღია გაკვეთილი შემდგომი თემებს შეეხო:<br>ფული და ფულის მნიშვნელობა;<br>დაზოგვა და დაზოგვის მიზნები;<br>ბიუჯეტის დაგეგმვა. |
| **სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები**<br>*(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)* | პირველი ეტაპი იყო განხილვა ლიტერატურული ნაწარმოების „ოთარაანთ ქვრივის’’, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „ხუთ ქისას“ და მის მნიშვნელობას.<br>▪ **საჭირნახულო** - პურის და ქერის მოსაწევად განკუთვნილი თანხა<br>▪ **ბარაქალა** - ვენახის სამუშაოებისთვის განკუთვნილი ფინანსები;<br>▪ **საჯანაზო** - ქისა გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის განკუთვნილი;<br>▪ **მიეცი და მოგეცესო** - საოჯახო საქმეში დაქირავებულებისთვის განკუთვნილი ხარჯები, საჯამაგირო<br>▪ **ფარსიღას ქარვასლა ან შიოს მარანი** - საქველმოქმედო მიზნებისთვის,ღარიბ-ღატაკებისთვის და საშინაო საქმისთვის<br>გაიმართა თემის გარშემო დისკუსია, დავამზადეთ საინფორმაციო პრეზენტაციები, ვიმუშავეთ ჯგუფებში და წარმოვადგინეთ კლასში დამსწრეთათვის |

# კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

| | |
|---|---|
| **აქტივობის აღწერა**<br>*(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ  და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)* | განვიხილეთ ილია ჭავჭავაძის როლი ქართულ საფინანსო კულტურაში, მისი წარმატებული ნაბიჯები საბანკო სტრუქტურაში, შემდგომ მისი ნაწარმოები ავიღეთ „ოთარაანთ ქვრივი“,რომელსაც მიუხედავად იმისა რომ თვლა კარგად არ გამოსდიოდა, მაინც სწორად ანაწილებდა ოჯახის ბიუჯეტს და დაზოგვის ნათელი მაგალითია მისი ხუთი ქისა, რომელიც მიჩნეული აქვს სხვადასხვა დანიშნულებისთვის ბავშვებმა ხუთი ქისის მაგალითზე თავიანთი ოჯახის ბიუჯეტირება მოახდინეს და წარმატებული შეხვედრა შედგა |
| **შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ**<br>*(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)* | მსგავსი შეხვედრები მოზარდებთან და მაგალითების მოყვანა ამძაფრებს მათ სურვილს გაიგონ მეტი ფინანსურ განათლებაზე, დაზოგვაზე, ბიუჯეტირებაზე და მათ სწორად გამოყენებაზე,<br>შედეგი რაც დაიდო არის რომ მათი დაინტერესება მოხდა, აქტიური ჩართულობა და სურვილი ბმსგავსი შეხვედრებისა. ასევე გაზომვადი შედეგია გამოკითხვა შეხვედრის დაწყებამდე თუ რა იცოდნენ ამ თემებზე და რა იყო მოლოდინი. შეხვედრის შემდეგ ისინი ინფორმირებულნი იყვნენ და მეტად მოტივირებულები |